შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, გამზირი სარაჯიშვილი №2,
(ს.კ.01.11.04.026.110), მრავალბინიანი საცხოვრებელი
სახლი, ბლოკი №6 შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2025

წინა პირობები:

ჩვენს მიერ დასადგენია პროექტის კოსტრუქციული ნაწილის ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო მასალები:

1. შპს "თბილინვესტპროექტი"-ს მიერ 2024 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. "DVASTUDIO"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული dwg ფაილები.
3. "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსების გამოყენებით მოდელირებული შენობების გაანგარიშების ელექტრონული chg ფაილები.
4. შპს "ბლოქსი სარაჯიშვილზე"-ს მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის- pdf ფაილები.

საერთო:

მოცემული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა კონსტრუქციულად 29 სართულიანია. სამშენებლო უბნისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

ძირითადი შენობის საძირკვლების ფუძედ მიღებულია კლდოვანი ქანი - არგილიტი ქვიშაქვის თხელი შუააშრეებით (ფენა №6): ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ნორმატიული მნიშვნელობით (წყალში) Rc=6,8 მპა.

საძირკვლები – 1,5 და 1,2 მ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, რომლებიც ზემოაღნიშნულ გრუნტში დაანკერებულია არანაკლებ 2,0 მ სიღრმით. ხიმინჯები შეკრულია 1.3 მ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილით ("დაბალი როსტვერკი"). შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კასრკასულ-კავშირებიანი სისტემით, სადაც კავშირების ფუნქციას (ჰორიზონტალური მდგრადობა) ასრულებენ 25 სმ სისქის დიაფრაგმები. დიაფრაგმები ძირითადად

განლაგებულნი არიან კიბე-ლიფტების პერიმეტრზე. კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემის მდგრადობას დიაფრაგმებთან ერთობლივად უზრუნველყოფენ კოჭები განიკვეთით 500X600h, 250X600h, 180 მმ სისქის გადახურვების ფილები და სვეტები განიკვეთით: 500X1300, 500X1100, 500X900, 500X700, 500X500.

მიშენების ნაწილისათვის საძირკვლების ფილის სისქე მიღებულია 300 მმ, ხოლო ორივე გადახურვის ფილის სისქე – 220 მმ.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25 და B30; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI. მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციით მშენებელი ვალდებულია აღნიშნული (საპროექტო ნორმებით განსაზღვრული) არმატურა ჩაანაცვლოს B500B კლასის არმატურით.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემების სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით 8 ბალიან მიწისძვრაზე.

ნახაზების სახით წარმოდგენილი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების განიკვეთები და არმირება ასახავს და შეესაბამება საანგარიშო მოდელებში მიღებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის და ზღვრული ძალოვანი ფაქტორების შედეგებს. როგორც გაანგარიშებები, ასევე მხაზველობითი ნაწილი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს.

<u>დასკვნა:</u>

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია გამოყენებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ედიშერ
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ წოწერია

თბილისი 05-05-2025